როგორც ორლებნიან მცენარეში აქაც მიღებისა და ბეწვების კონები შესდგება მერქანის და ლაფანისაგან, მხოლოდ მერქანსა და ლაფანს შორის კაში არ არის. მაშასადამე ასეთ მცენარეებს მეორე წლიათვის არ შეუძლიათ შექმნან მერქანი და ლაფანი და დასქელდნ ამიტომ მათი ღერო მულამ ერთი სისქისაა (სურ. 32).



სურ. 32. სიგრძეზედ გადაჭრილი ღეროს აგებულება; მოსჩანს სხვა და სხვა მოყვანილობის მღლები და ბეწვები.

ძირის აგებულობა. ძირის აგებულობა თითქმის იგეთივეა, როგორც ღეროსი. ორლებნიან მცენარეთა ძირში ლაფანსა და მერქანს შუა ჩნდება, ისე როგორც ღეროში, კაში, აგრეთვე მერქანში წლი

კოლები. მხოლოდ ძირზედ კანის უჯრედები განზედ არის გაქიმული, გარდაქმნილი საწოვარ ბუსუსებად. ამ საწოვრებით, როგორც ვით, ძირი წყალსა და მასში გახსნილ ნივთიერებათ სწოვს. (სურ. 34).




სურ. 34 გარდი-გარდმო გადაქრილი ძირი ახალგაზრდა მცენარისა: შუაში ლაფან მერქანით; მათ გარეთ სირბილე (პირვანდელი კანი). ძირის საწოვრებზედ მიკრულია ძირის ნაწილები.

ფოთლის აგებულება. ეხლა გავიგოთ ფოთლის შინაგანი აგებულება: ამისათვის სისქეზე გავსკრათ ფოთოლი და პატარა ამონაჭერი გამადიდებელ შუაში გავსინჯოთ. გამადიდებელი შუშა დაგვაჩვენებს, რომ ფოთლის ზემო და ქვემო პირს პრტყელი და გამჭვირვალე უჯრედები მისდევს. ეს უჯრედები ფოთლის კანია. კანს ქვეშ ფოთლის სირბილეა; ესეც უჯრედებისაგან შესდგება, ხოლო კანის უჯრედებივით პრტყელი კი არ არის, არამედ სვეტებივით არის ამართული ფოთლის სისქეზედ. ფოთლის სირბილის უჯრედები ქლოროფილის მარცვლებით არის სავხე. (სურ 35).

როგორ საზრდოობს და იზრდება მცენარე.

ფესვების მიერ ნადაგიდან მინერალურ ნივთიერების ამოწონა.

უკვე ვიცით, რომ ახლად აღმოცენებული მცენარე თესლიდან იღებს საზრდოს. ხოლო როცა თესლშიაც გამოიღვევა საზრდო, მცენარე მიწაში გაიდგამს ფესვებს და იქიდან იწყებს საზრდოობას.



სურ. 35 სისქეზე გაჭრილი ფოთოლი.

გავიცნოთ ეხლა, რას იღებს მცენარე ნადაგიდან. ამის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ მცენარის სხეულის შედგენილობა. ამ მიზნით მცენარე უნდა გამოვაშროთ ე. ი. მცენარეს წყალი გამოვაცალოთ, დარჩება მცენარის ხმელი ნივთიერება, რომელიც ადვილად იწვის, რჩება მცირე ნაწილი ნაცრის სახით. იმ ნივთიერებას, რომელიც მალად დაიწვა, ორგანიული ნივთიერება ეწოდება, ხოლო რომელიც არ დაიწვა ე. ი. ნაკარს, ეწოდება არა ორგანიული ნივთიერება. სწავლულების გამოკვლევით მცენარის ორგანიული ნივთიერება ნახშირბადისაგან, წყალბადისაგან, სერბადისაგან და აზოტისაგან შესდგება. ამ ნაწილებში ყველაზედ მეტი ნახშირბადია. მცენარის ხმელი ნივთიერების ნახევარი ნახშირბადია, ხოლო როცა ნაცრის შემადგენლობა გამოიკვლიეს, იქ აღმოაჩინეს 30-ლდე სხვა და სხვა მინერალური ნივთიერება. ამ ოცდაათში მცენარისათვის უსაჭიროესია მხოლოდ ექვსი. ამ რიგად მცენარეში შედის სულ ოთხი უბრალო ნივთიერება: ნახშირბადი, წყალბადი, მჟავა და, აზოტი და ექვსი მინერალური ნივთიერება. კალი, კალცი, მაგნი, რკინა, გოგირდი და ფოსფორი.

ახლა შევითვოთ. მცენარე რომელ მათგანს იღებს მიწიდან, ნადაგიდან. საზოგადოთ ჩვენ გვკონია, რომ მცენარე მთელ თავის სხე-


ქლს აშენებს ნიადაგიდან ამოღებულ მასალისაგან. ნამდვილად კი ეს სხე არ არის. ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ ერთმა მეცნიერმა მოახსენა შემდეგი ცდა: აიღო ქოთანის, ჩაყარა 200 გირვანქა მშრალი მიწა და შიგ ჩარგო ტირიფის ტოტი, რომელიც იწონიდა ხუთ გირვანქას. ტოტი გაიზარდა და 5 წლის შემდეგ შეიქნა მოზრდილ ხეთ. მეცნიერმა ამოგლიჯა ეს ხე, გააცალა მიწა, გააშრო და ხელახლად ასწონა. იღობნდა რომ ეხლა ტირიფი იწონიდა 4 ფუთს. ახლა ცალკე სწონა მიწა და დაინახა, რომ მიწას 14 მისხალი დააკლდა. მაშასადამე, როგორც სჩანს 4 ფუთი მერქანის გაზრდისათვის, განვითარებისათვის აქირო ყოფილა მხოლოდ 14 მისხალი მიწა დანარჩენი მასალა კი ცენარეს მიწიდან არ ამოუღია. შემდეგში მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მცენარე იღებს ნიადაგიდან მხოლოდ იმ ნივთიერებას, რომელიც მდის ნაცრის შემადგენელ ნაწილად და აგრეთვე აზოტს.

მომეტებული ნაწილი ზემოხსენებულ ნივთიერებათა მაგარ სხეულად არის ნიადაგში. მცენარეს კი მარტო წყალში გახსნილი ნივთიერება შეუძლიან შეითვისოს, მათ გასახსნელად მცენარის ფესვები უშეებენ ნიადაგში ნახშირმჟავა გაზს. ნახშირმჟავა გაზი და წყალი ერთად ქვრო ადვილად ახსნის მინერალურ ნივთიერებას და ლონისძიებას აძლევს მცენარეს მიწიდან საზრდო ამოიღოს.

ადვილად შეგვიძლიან დავრწმუნდეთ, რომ ნახშირმჟავას ასეთი უნება აქვს: ავიღოთ რომელიმე მცენარე და ქოთანში გავზარდოთ. ოთნის ძირში კი გასიბული მარმარილოს ნაკერა მოვათავსოთ. ფესვი დაიწყებენ ზრდას და მარმარილოს ფიცრამდისაც მიიღწევენ. ფესვის მიერ გამოშვებული ნახშირმჟავა გაზი და წყალი მარმარილოს გახსნის და იმ ადგილას, საცა ფესვები მარმარილოს შეეხა, პატარ-პატარა ლარები გაჩნდება.

მიწიდან ამოღებულ წვეს ფესვები ღეროში ჰგზავნის და თან მაღლა დიდის ძალით ეწევა. ამ ძალის დანახვა და გაზომვაც შეგვიძლიან. ამ აზრით გაზაფხულობით გადავკრათ ფესვებთან ახლო რომელიმე პატარა მცენარე და ღეროზედ მოხრილ შუშის მილი მივამაგრეთ. მილი რომ ვერცხლის წყალი ჩაწასხათ, რამდენსაჲმ ხანს უკან შევაჩვენეთ, იმ ფესვების მიერ ამოწეული წყალი შუშის მილში ავა, ვერცხლის

ჩუალს. მიაწვება და კარგა მალლა ასწევს. (სურათი 36). ვაზის ტირი-
ლი გაზაფხულობით ამავე მიზეზით აიხსნება.



სურ. 36. ცდა—მაჩვენებელი ფეს-
ვების მიერ წვენის მალლა აწვეისა.

წვენის ღეროში ასვლა.

წვენი ფესვებიდან რომ ღეროში გადავა, ღეროს აჰყვება და ბო-
ლოს ფოთლებსა და ნაყოფშიაც გადის. ეს წვენი აღის მერქანის ანუ
გაბევებულ მიღების კონებში, სიწვრილე მერქანის მღებებისა უფრო
ხელს უწყობს წვენს დიდს სიმაღლეზედ ავიდეს და ზენარის კენწე-
რომდის მიაღწიოს.

ფოთლების მიერ წყლის აორთქვლა.

წვენი ღეროდან ფოთლებში გადადის, ფოთლებიდან ერთი ნაწილი წყალისა ორთქლად იქცევა და გარედ გამოვა. წყალი უქცველად ნდა გამოვიდეს მცენარიდან, თორემ მცენარე წყალით გაიჟღენთება და წყალსა და ამ წყალში გახსნილ ნივთიერებას აღარ ამოსწოვოს. წყლის მცენარიდგან გარედ გამოყვანას ფოთლები კისრულობს. სითბოს ამო ფოთლებში წყალი ორთქლად იქცევა და ფოთლის ნაჩვრეტებიდან გარედ გამოვა. ფოთლები კარგა ბლომად აორთქლავენ წყალს. შემჩნეულია, რომ მზეუქვრიტას ფოთლები დღეში 4 კიკა წყალს იორთქლავს, ომბოსტო—15 კიკას; ერთი დღიური სიმინდი—ზაფხულის განმავლობაში ასი ათას ჩაფს წყალს.

ამნაირად ახლა გავიგოთ, თუ რა დიდს საქმეს უკეთებენ მცენარეს ფოთლები. წყალს აორთქლებენ და ხელს უწყობენ ფესვებს ახალ ახალი აზრდო მოიპოვოს.


მცენარის ფოთლების მიერ ჰაერიდან საზრდოობა (ნახშირბადის შეთვისება).

მცენარე მარტო მიწიდან კი არ იკვებება, არამედ ჰაერიდან იღებს აზრდოს. ჰაერიდან მცენარე ფოთლების საშუალებით იკვებება. საკვებ ასალას ნახშირბაქვა გაზი შეადგენს.

მცენარე ფოთლების შემწეობით ჰაერიდან ნახშირბაქვა გაზსა ჰყლავს. ნახშირბაქვა გაზი უჯრედებში შედის. აქ ქლოროფილისა და სითბოს ზედგავლენით დაიშლება თავის შემადგენელ ნაწილებად—ახშირბადად და მჟავბადად. ნახშირბადი მცენარეშივე დარჩება, მცენარე ის ითვისებს, მჟავბადი კი მცენარიდან გამოდის, ნახშირბადის შეთვისება მარტო სინათლეზედა ხდება ე. ი. დღისით, ღამით კი ასეთი მოქმეება შესწყდება ხოლმე.

ნახშირბადის შეთვისება და მჟავბადის გამოდენა მცენარიდან შემდეგი ცდით შეგვიძლია გავითვალისწინოთ: ავიღოთ მოზრილი შუწის ქილა და ჩავდოთ შიგ რომელიმე მცენარის ფოთლები. ამ მცენარის ფოთლებზედ წამოვაპირქვავეთ ძაბრი, ქი-

ლაში ჩავსხათ წყალი იმ ზომამდე, რომ მთლად დაფაროს ძაბრი. (სურ. 37). შემდეგ ძაბრის ტუჩს გაუკეთოთ წყლით სავსე შუ-



სურ. 37 ფოთლებიდან მჟავადის გამო-
სკლა ნახშირბადის შეთვისების დროს.

მის მასრა, ხოლო წყალი ქილაში ნახშირმჟავათი გავჟღინთოთ (ამი-
ათვის საკმარისია რამდენჯერმე ჩავსუნთქოთ შუშის მილით ქილაში).
სე მოწყობილი იარაღი გავდგათ მზეზე და მაშინვე შევაჩნევთ, რომ
ფოთლებიდან დაიწყებს დენას გაზის ბუშტები და შეგროვდება შუშის-
ძასრაში. ახლა ქილას რომ რამე მოვაფაროთ და მზის სხივები არ
ჩუქუშვავთ, ბუშტები ნელ-ნელა დაიწყებს დენას და ბოლოს ბუშტების
გენა სულაც შესწყდება.

მასრა რა გაზით გაივსება, ამოვიღოთ და შიგ ნაკვერცხალი ჩა-
ქუშვათ, იგი მაშინვე აპრიალდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მასრაში
მჟავადი მოგროვილა.

ნახშირბადის შეთვისების დროს იმავე ქლოროფილისა და სინათ-
ლის ზეგავლენით ნახშირბადი უერთდება წყალს და ჩნდება სახამებელი.
მას შემდეგი ცუა დაგვიტკიცებს: ავიღოთ ორი ქოთანნი, რომელ-
მაც ლობიოს გაღვივებული; ერთი მათგანი ბნელაში მოვათავსოთ,
მეორე კი სინათლეზედ. სამი დღის შემდეგ ლობიოს თათო ფოთოლი
ცუკრათ და გამოვხარშოთ სპირტში. ფოთლებს მწვანე ფერი დაეკარ-

ვება, რადგანაც ქლოროფილი სპირტში გაიხსნება. შემდეგ იოდის ხსნილში ჩავდეთ ორივე ფოთოლი და შევაშრნეოთ, რომ სინათლეზედ ნაშყოფი ფოთოლი იოდისაგან მუქ-ლოურჯ ფერად შეიღებება. ხოლო ბნელაში ნაშყოფი ფოთოლი უცვლელად დარჩება. აშკარაა სახამებელი ისეთს მცენარეში ჩნდება, რომელიც სინათლეზედ იზრდება, სინათლეს მოკლებულ მცენარეს კი სახამებელი არა აქვს.

ნახშირბადის შეთვისება და სახამებელის გაჩენა მცენარის საზრდო-ობა და ზრდაა, რადგანაც მცენარეს ამით სხეულის ასაშენებელი ნივთიერება ემატება. ჩვენ ვიცით, რომ მცენარე მარტო სინათლეზედ ითვისებს ნახშირბადს და აჩენს სახამებელს, მაშასადამე სინათლე აუცილებელი საჭირო ყოფილა მცენარის საზრდოობისათვის და ზრდისათვის.

მ ც ე ნ ა რ ი ს ს უ ნ თ ქ ე ა .

საზრდოობის გარდა, მცენარე ფოთლების შემწეობით სუნთქავს. მცენარის სუნთქვა არაფრით არ განირჩევა ცხოველების სუნთქვისაგან. ისიც, როგორც ცხოველი, მებადადს ჩაისუნთქავს. ამოსუნთქვის დროს კი ნახშირმჟავა გაზს ამოუშვებს. მცენარე დღე და ღამე სუნთქავს. მხოლოდ სუნთქვა ღამე უფრო ემჩნევა, რადგანაც ღამი მცენარე ნახშირმჟავა გაზს აღარ ითვისებს.

ამნაირად ფოთლები სამგვარ საქმეს უკეთებს მცენარეს: 1) წყალს აიორთქლებს და აძლიერებს ფესვებისა და ღეროს მუშაობას მინერალურ ნივთიერების ამოღებაში, 2) საზრდოს იღებს ჰაერიდან, ორგანიულ ნივთიერებას ამზადებს, 3) სუნთქავს.


წვენი ს ზოძრაობა მცენარეში.

სახამებლის გარდა, მცენარეში სხვა კიდევ მრავალგვარი ორგანიული ნივთიერება მოიპოვება, მაგალითად, შაქარი და სხვა და სხვა ზეთი, ფისი და სხვა. მცენარის ზრდაში უმთავრესი მნიშვნელობა ორგანიულ ნივთიერებას აქვს. პირველი ადგილი ამ საქმეში სახამებელს უჭირავს, რადგანაც იმისაგან შენდება მცენარის სხეული. ამის გამო ორგანიული ნივთიერება მცენარის ყველა ნაწილში გადადის და მინერალურ ნივთიერებასთან ერთად ხელს უწყობს ორგა-

ნოებს ზრდაში. აშკარაა ორგანიული ნივთიერება ფესვებშიაც უნდა ჩავიდეს, მხოლოდ იმ გზით კი არ მიდის, რომლითაც მინერალურ ნივთიერება, არამედ ქერქს და ლაფანს ჩასდევს.

ახლა ვხედავთ, რომ მცენარეში ორგვარი წვენი მოძრაობს, ორგანიული და მინერალური. პირველი ზევიდან ქვეით მიდის და ჩაღ ფესვებში, მეორე კი ფესვებიდან ზევით მიდის და ყველგან ორგანოებში ადის. მინერალური წვენი—**აღმავეალი წვენია**. ორგანიული კი **ჩაღ მავალი**.

იპის დასამტკიცებლად, რომ ორგანიული წვენი ფოთლებიდან ლფანს ჩასდევს, მოვიქცეთ ასე: ავიღოთ ტირიფის ორი ტოტი: ერთი მათგანს შემოვაცალოთ მარტო კანი, მეორეს კი კანი და ლაფანი მარქანაზდის და ორივე წყალში ჩავსდვათ. ერთი ან ორი კვირის შემდეგ ორივე ტოტი ფესვებს გამოიღებს: პირველი შემოჭრილი კქვემოთ, მეორე კი შემოჭრილ კანს ზემოთ. (სურ. 23).



სურ. 23. ორი ტოტი: მარჯვნივ შემოჭრილი აქვს მარტო კანი, მარცხნივ კანი და ლაფანი მერქანაზდის. პირველმა ტოტმა ფესვები გამოიღო შემოჭრილ კანის ქვემოთ, ხოლო მეორემ—ზემოთ.

აშკარაა მეორე ტოტს რომ კანი და ლაფანი შემოვაცალებთ, ამით ჩაღმავეალ წვენს გზა დაუღშეთ და ორგანიული ნივთიერება ტოტ ქვემო ბოლომდის ველარ აღწევს. აქედან ცხადია რომ ორგანიული ნივთიერება ფოთლებიდან მცენარეში ლაფანის მიღებს ჩასდევს, სახეობრ საცრის მზავს მიღებს.

მცენარეთა აღწერილობა.

მცენარეთა სამეფოთი ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია. შრავა, ვეროვან და ათას გვარ მცენარეები არის შემოსილი მისი მთანი ხეობანი და ველი. მდიდარია ნამეტნავად დასავლეთი საქართველოში შავი ზღვის პირად მდებარე ადგილებში აქარასა, გურიასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში ცხელის ქვეყნის მცენარენიც კი იზრდება. შავალითად, ლიმონი, ფორთოხალი, ჩაის ბუჩქი, ზეთის ხილი და სხვა და სხვა პალმა. სამეგრელოს, აფხაზეთის და აქარის ტყეებში ხშირია და ფნის ხე, ბზა და წაბლი, მიუვალ სვანეთის მთებზედ იზრდება ფიჭვი და ნაძვი.

აღმოსავლეთი საქართველოც თავისებურად შემკულია სხვა და სხვა მცენარით. ბორჯომისა და ახალციხის მხარე შემოსილია მეტად ლამაზის ფიჭვისა და ნაძვის ტყეებით, კავკასიონის მთების კალთები შემოსილია წიფლითა და რკინაზედ მაგარის ზუხით.

ხილულ მცენარეთა მხრივ ჩვენი ქვეყანა ერთ ვეებერთელა ბაღწარმოადგენს: კახეთი განთქმულია ვაზით, რომელიც კარგის ღირსებით ღვინოს იძლევა. ქართლი და ახალციხის მხარე—ვაშლითა და მსხლითა ქაზიყი და იმერეთი—ლეღითა და ბროწყულით.

საპურე მცენარეც მრავალნაირი იზრდება ჩვენს ქვეყანაში: პური სიმინდი, ქერი, ბრინჯი, ლობი და ფეტვი. პურით განთქმულია ქართლი სიმინდითა და ლობით—გურია, სამეგრელო და იმერეთი. ბრინჯი მოდის საინგილოში. გვაქვს აგრეთვე სამრეწველო და სამკურნალო მცენარენი: ბაშბა, კანაფი, თუთის (ბეჯლის) ხე, ენდრო და სელი. წინანდელს დროში ჩვენებურ სელისაგან გაკეთებულს ტილოს ეგვიპტის განთქმულ ტილოს ადარებდენ. ხშირად ჩვენი მთები შემოსილია ნოყიერ და ყვავილოვან ბალახით. სხვათა შორის თრიალეთისა, სვანეთისა და ციფლამბორის მთებს დიდი სახელი აქვთ მოპოვებული, როგორც საუკეთესო საძოვარ ადგილებს, საუკეთესო საიალალოს.

საზოგადოდ მცენარენი ერთმანეთს არ ჰგანან. ადვილად ვარჩევთ ხერხარ მცენარეთ, ბუჩქნართა და ბალახეულთ. ძნელი არ არის აგრეთვე გარჩევა ისეთნაირ მცენარეთა, რომელთაც ყვავილი მოაქვთ—ყვავილიან მცენარეთა—იმ მცენარეთაგან, რომელნიც არასოდეს აქვავილობენ—უყვავილო მცენარეთაგან—მაგალითად სოკო, ქილოვან მცენარეები, ჩადუნა (გვიმბრა), ხავსი და სხვა უყვავილო მცენარეთესლით კი არ მრავლდებიან, არამედ სპორებით.

ყვაილიანი მცენარენი თავის თავად თესლის აგებულობის მიხედვით განიყოფებიან: ერთ-ლებნიან, ორ-ლებნიან და მრავალ-ლებნიან მცენარეებით. ხოლო ერთლებნიან, ორლებნიან და მრავალლებნიან ყვაილიან მცენარეებს ერთნაირად არა აქვთ მოწყობილი ყვაილი და სხვა ორგანოები. ამის გამო თითოეული ამ ჯგუფთაგანი (საზოგადო თვისებათა მიხედვით) შეიძლება კიდევ დავყოთ ოჯახებად, ოჯახ გვარებად, ხოლო გვარი—სახეებად


ქვემოდ ავწერთ მხოლოდ რამდენსამე მცენარეს (ორ-ლებნიანს, ერთ-ლებნიანს, შიშველ თესლიანს და სპორებიანს) ჯგუფებათა და ოჯახებად დაყოფილს.

ორ ლებნიანი მცენარენი.

ჯვარედინ ყვაილიანი. ჯვარედინ ყვაილიან მცენარეების ოჯახობას ყვაილის ჯამსა და გვირგვინზედ ოთხ-ოთხი ფურცელი ასხივ ჯვარედინათ. ყვაილში ორი მოკლე, ხოლო ოთხი მოგრძო მტვრინა უსხედს. ამ ოჯახობას ეკუთვნის შემდეგი სამეურნეო მცენარენი: კომბოსტო, მდოგვი, თაღვაში, ბოლოკი და სხვა.

კომბოსტო. კომბოსტო ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. კომბოსტოს სამშობლოდ ხმელთა-შუა ზღვის ნაპარები ითვლება, ხოლო ადამიანს დიდი ხანია რაც მოჰყავს ეს მისთვის ფრიად სასარგებლო სამეურნეო მცენარე. პირველს წელს კომბოსტო არ ჰყავის, მხოლოდ მოკლე ღეროს იკეთებს. კომბოსტო ბევრნაირი ჯიშისაა: თავიანი, ფოთლიანი, ყვაილიანი, სქელღეროიანი და სქელძირიანი (თაღვაში). აჯიშებში ყველაზედ მნიბენლოვანია თავიანი კომბოსტო და რაკი თავიან კომბოსტოს ფოთლებს ადამიანი საქმელათაც ხმარობს, ამიტომ ეს კომბოსტოა დამიანმა თავისი მოგლა-მოშენებით სრულიად გარდაჰქმნასაკვირველია თავის სასარგებლოდ და კიდევაც მიაღწია თავის მიზანს. მართლაც კომბოსტოს აუარებელი და თან სქელი და ხორციან ფოთოლი უკეთდება, ხოლო ღერო უმოკლდება, უმოკლდება აგრეთვე მუხლებიც. ამის გამო ფოთლები კომბოსტოს ისე სქლად და მჭიდროდ ამოუდის, რომ ქვემოთა და თან გარეთა ფოთლები სრულიად ჰფარავდ შიგნითა ფოთლებს და ასე იკეთებს მსხვილსა და მრგვალს თავს. სხვა და სხვა ჯიშის კომბოსტო სხვა და სხვა ფერსა და სიდიდის თავი იკეთებს.

კომბოსტოს თესლს რაც შეიძლება ადრე სთესნენ მყუდრო ადგილის, რომ გაზაფხულის სეციფეებმა არ დაზიანოს და როცა ნორჩი კომბოსტო ორს ან სამს ფოთოლს გამოიჭანს, კვლებში გადარგავენ ხოლმე. პირველ წელიწადს კომბოსტო იძლევა მხოლოდ ძირს, მოკლე ღეროს და ხშირ ხორციან ფოთოლს. სათესლედ გამზადებულ კომბოსტოს თავებს ძირიან-ფესვიანათ იღებენ და ზამთრის განწავლობაში სარ-



სურ. 39. მუხულო

ღაფებში ინახავენ. გაზაფხულოზედ კომბოსტოს თავებს ხელახლად რგავენ ხოლმე და კიდევაც მაშინ ვითარდება ღერო ყვავილებითა და ნაყოფითა. ჩვენში კომბოსტოს მოვლა-მოწენებას უმთავრესათ მისდევენ კორის და აპალციხის მარებში.

შავი ბოლოკი და თვის ბოლოკიც ორწლოვანი მცენარეა. პირ-
მუშა მრავალ წლოვანია. ხოლო უმეტესი ნაწილი ჯვარედინ ყვავი-
ლიან მცენარეთა ერთ წლოვანია.

ცერცოვანი. ცერცოვანი მცენარენი განირჩევიან გვირგვინითა და
ნაყოფით. გვირგვინი ჰებელას ემსგავსება, ნაყოფი კი ცერცვის მინა-
ვარია. ამ ოჯახობას ბევრი მცენარე ეკუთვნის. ხოლო ადამიანისათვის
უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი მცენარენი: მუხულო (სურ. 39), ლო-
ხიო, ცერცვი, იონჯა, უგრეხელი, სამყურა, ცულის პირა, აკაცია,
ოსპი და სხ-ა.

თესლა ამ ოჯახობის მცენარეთ ორღებნაანი აქვთ, ფოთოლი
რთულის მოყვანილობის, ფრთის მზგაყსი. ცერცოვან მცენარეთ საზრ-
დობის დროს ერთი შესანიშნავი თვისება აქვთ—ამ მცენარეებს ჰაერ-
რიდან შეუძლიათ შეითვისონ თავისუფალი აზოტი; სხვა მცენარეთ
ასეთი თვისება არა აქვთ. საზოგადოთ მცენარეები ჰაერადინ აზოტს
კერ ითვისებენ. ამაში აღვილად დავრწმუნდებით, თუ მცენარეს ისეთს
ნიადგში ჩავრგავა, სადაც აზოტოვანი ნივთიერება სრულებით არ მოი-
პოვება. მიუხედავად აზოტის სიუხვის ჰაერში, მცენარეს აზოტის ოდ-
ნობა მაინც აუ ემატება. მხოლოდ ცერცოვან მცენარეთ შეუძლიანთ
ჰაერიდან აზოტი შეითვისონ, რადგან ამ ოჯახობის მცენარეებს ამ მიზ-
ნისათვის განსაკუთრებული საშუალება აქვთ. ცერცოვან მცენარეებს
ძირებზედ და ფესვებზედ უსხედს პატარ-პატარა ჯირკვლები, რომლებ-
შიაც სცხოვრობენ ერთგვარი ბაქტერიები. ეს ბაქტერიები ჰაერის
აზოტს ნიადგში მჟავბაჟს უერთებენ, ჩნდება აზოტის სიმჟავე, რომე-
ლიც სხვა მინერალებთან შეერთებით გარდაიქცევა გვარჯილად და
ავარჯილას შეთვისების დროს ცერცოვანი მცენარე აზოტს ითვისებს.

ვარდყვავილიანი ოჯახობა

ამ ოჯახობის მცენარეების ყვავილის ჯამსა და გვირგვინის ხუთ-ხუთი
ფოთოლი აქვს. **მრავალი მტვრიანა.** ამ ოჯახობაში ბევრი მცენარე
თავ-მოყრილი: ვაშლი, მსხალი, ვარდი, მარწყვი, ქოლო, ასკილი, მაყვა-
ლი, ალუბალი, ქლიავი, ატამი, ნუში და სხვა.

ვაშლის ხე.

ვაშლი შუა ტანის ხეა. ძირზედ ვაშლს მრავალი განზედ გასულ
ქესვები ასხია. ტოტი შემოსილი აქვს დაკბილული ფოთლებით, ვა



სურ. 40-ა. ვაშლის ხე გაშლილი ყვავილით.

შლი აპრილში ჰყვავის. ვაშლის ყვავილი მოწითნო ფერისაა. ყვევი

ისი ჯამი და გვირგვინი ხუთ ფოთლიანია. გვირგვინის ფოთლები ემო პირიდან თეთრი ფერისაა, ხოლო ქვემოდან მოწითალო. მტვრინა გვირგვინში ოცამდეა. ბუტკო ერთ ნასვიანია, ხოლო ბუტკოს ეგრო ხუთად არის გაყოფილი და ხუთი დინგი აქვს. ვაშლის ყვავილში ჩნდება მსხვილი და მეტად გემრიელი ნაყოფი. ნაყოფში ხუთი ბუდეა, რომლებშიაც მოთავსებულია ათამდე თესლი. აშლი ბევრნაირი ჯიშისაა. გარეულს ვაშლს მთალო ეწოდება. კარგი ჯიშის ვაშლი თესლით არ მრავლდება, უნდა იმყნოს მთალოზე და ან იმეღსაზე უბრალო ჯიშის ვაშლზედ. (სურ. 40-ა).

ქოლგისნაირი მცენარენი. სტაფილო. ამ ოჯახობას ყვავილთარებული ქოლგას უგავს. ყვავილები პაწაწკინტელო აქვთ, ჯამი და გვირგვინი ხუთ ფოთლიანია. ამ ოჯახობას ბევრი კულტურული მცენარე ეკუთვნის: მაგ. სტაფილო, კამა, ოხრაბუში, ნიახური, ზირა, ანიუდი. მომეტებული ნაწილი ამ ოჯახობის მცენარეთა ორ წლოვანია. გარეულ მცენარეთაგან ამ ოჯახობას ეკუთვნის: ყინტორა, ლურჯი ნარი, ონიო და სხვა.

სტაფილო, — ორ წლოვანი მცენარეა. პირველ წელიწადს სტაფილო ხოლოდ მსხვილსა და ხორციან ძირსა და ფოთლებს იკეთებს, ხოლო ეორე წელიწადს, თუ გადავრავთ, სტაფილოს ძირს მოაქვს მაღალი ეგრო, რომელიც ყვავილებსა და ნაყოფს იღებს. (სურ. 40-ბ).

სტაფილოს ყვავილს ხუთ-ფოთლიანი ჯამი და გვირგვინი აქვს. გვირგვინში ხუთი მტვრინა და ერთი ბუტკო აქვს.

შეერთებულ ფურცლიანი

როულ ყვავილიანი. მ. მ. ზ. ე. ს. უ. ჯ. ვ. რ. ი. ტ. ე. შეერთებულ ყვავილიანთა ოჯახობა ყველაზედ დიდია. ამ ოჯახობას რამდენიმე ათასი მცენარე ეკუთვნის. ამ მცენარეების ოჯახობა იმითი განირჩევა სხვა მცენარეებისაგან, რომ აუარებელი წვრილი ყვავილი ერთი მეორის ახლოს აქვს მოთავსებული ერთს ფართო საყვავილეზედ, რომელსაც მრავალი მუწანე ფოთლები აქვს შემორტყმული. ამ ოჯახობაშია თავ-მოყრილი შემდეგი მცენარენი: მზეს-უჭვრიტე, ბუერა, ვარდ-კაქაქა, ტარხუნა, ბზინტა, გვირილა, კულმუხო, სალათა, მიწა-ვაშლა, ძირხვენა და დიდილო.

მზეს-უჭვრიტე მოჰყავთ ბოსტანში და ნახნავებშიაც თესლისათვის.

რომლისაგან მზეს-უჭვრიტეს ზეთს ჰხდიან. ამ მცენარეს მოაქვს დიდ ყვავილთკრებული, რომელსაც შეცდომით ყვავილს ეძახიან. ყვავილთკრებული შესდგება იმდენ ცალკე ყვავილისაგან, რამდენიც მარცვალკამოდის მცენარის ერთ საყვავილედან. მზეს-უჭვრიტეს ყვავილი ყოველთვის მზისკენ მიბრუნებულია და ამიტომაც დაერქვა ასეთი სახელი.



სურ. 40-3. სტაფილო.


მზეს-უჭვრიტეს ღერო იზრდება მაღალ და მაგარი. ღერო და ფოთლები ამ მცენარისა ხაოიანია. შუგნით ღერო ცარიელია. მზეს-უჭვრიტას ფოთლები გრძელის ყუნწით არის ღეროზედ მიბმული. უთავრესი ძირი პირდაპირ მიწაშია წასული, ხოლო გვერდებზედ აუარებელი ფესვები აქვს გადგმული.

საყვავილეს და ყვავილის აგებულება.

მზეს-უქვრიტეს საყვავილე რომ სიგრძეზედ გავსკრათ, დავინახავთ ღეროს გაფართოებულ ბოლოზედ, ეგრედ წოდებულ საერთო ყვავილის ემბზედ, აუარებელ წვრილ ყვავილებს. რაც მზეს-უქვრიტეს ყვავილად მიგვაჩნია, ნამდვილად ყვავილი კი არ არის, არამედ მთელი საყვავილეა. ის არის მიზეზი, რომ ამ ოჯახობას შეერთებულ ყვივილიან ოჯახობას უწოდებენ.

გარედან საყვავილეს მრავალი მწვანე ფოთოლი ასხია. საყვავილის ქულა ყვავილებს გვირგვინი პატარა და მოყვითანო ფერისაა, ხოლო საყვავილის ნაპირა ყვავილების გვირგვინი ყვითელის ფერისა აქვთ და უნასავით გაგრძელებული. ამგვარად მზეს უქვრიტეს საყვავილეში ორნაირი ყვავილია: ნაპირისა და შუაგულისა. ნაპირის ყვავილებში საკბოდ არ არის განვითარებული მტვრიანები და ბუტკო. ეს ყვავილები უნაყოფოთ არიან, ხოლო თავის ყვითელ ფერით მწერებს იზიდავენ.

შულა ყვავილების ჯამი ორ პატარა წვრილ ფოთოლისაგან შესდგება. გვირგვინი წვრილის მილსა ჰგავს, ხოლო ქვემოდ ეს მილი ბურთავით გაფართოებულია. ამ მილში გადის გრძელი და წვრილი ბუტკოს ღერო, რომელიც ზემოდ ორად არის გაყოფილი. (სურ. 41).



სურ. 41. მზეს-უქვრიტეს ყვავილი.

კ ა რ თ ო ფ ი ლ ი ს ნ ა ი რ ნ ი .

ამ მცენარეების ოჯახობას ეკუთვნის—კართოფილი, თამბაქო, წი. თელი ბაღრიჯანი, ძაღლ-ყურძენა, ლენკოფა, ლემა (Дурман), წიწაკა და სხვა. კართოფილის ნაირთ გვირგვინი ხუთ შეერთებულ ფოთლისაგან შესდგება და ზარს მიემზავსება.

კართოფილს ადამიანისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. კართოფილი იხმარება საჭმელად და ძალიანაც მარგებელია. ხშირად კართოფილი პურის მაგიერობასა სწევს. თავები, გორგალები კართოფილისა სახამებლითაა სავსე. კართოფილის სამშობლო სამხრეთ ამერიკის თბილი ქვეყნებია. მეთექვსმეტე საუკუნეში კართოფილი ევროპაში გადმოიტანეს და ახლა თითქმის ყველგან მოჰყავთ.


კართოფილის ყვავილები თეთრის ფერისაა და ზარს მიემზავსება გვირგვინი ხუთ შეერთებული ფოთლისაგან შესდგება, მტვრიანა ხუთაქვს, ნაყოფი მწვანე და მრგვალი. ღეროს ქვედა ნაწილი კართოფილ მიწაში აქვს. ამ ღეროზედ მრავალი გორგალი ჩნდება. გორგალები ნაოქვებში ოდნავ სჩანს პატარა კვირტები—ლივები. კართოფილის მოსაყვანად გორგალებსა სთესავენ. ლივები დაიწყებენ ზრდას და გორგალებიდან გამოაქვთ საზრდო, რის გამოც გორგალი პატარავდება, ცარიელდება, ჭკნება და ლბება კიდევ. აღმოცენებული ლივები ღეროებში გადაიქცევა და გამოიტანს ფოთლებს და ნაყოფს. ხოლო ის ნაწილი ღეროსი, რომელიც მიწაშია მოყოლილი, ყლორტებს იღებს; ეს ყლორტები სქელდება და გორგალად (კართოფილის თავებად) იქცევა. თუ გვინდა, რომ კართოფილმა ბევრი გორგალი გაიკეთოს, ღეროს მიწა უნდა შემოეყაროს (სურ. 42).

ტ უ ჩ ე ბ - ყ ვ ა ვ ი ლ ი ა ნ ი .

ტუჩებ-ყვავილიან ოჯახობას ეკუთვნის ორტუჩა გვირგვინიანი მცენარეები: ქინკრის დედა ქონდარი, პიტნა, სალბია და სხვა. ტუჩებყვავილიან მცენარეების ყვავილში ოთხი მტვრიანა არის ხოლო, ორი გრძელი და ორი მოკლე.

ქინკრის დედა. ქინკრის დედა ძალიან გავრცელებული მცენარეა იგი ყველგან გვხვდება: ლობეების ძირში, ვენახებში, შამბებში და სხვა

გან. ჭინჭრის დედამ ადრე იცის ამოსვლა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჭინჭრის დედას ჰაერში სქელი და ღონიერი ღერო აქვს; ამ ღეროში



სურ 42. კარსოფილი.

შაზრ ის დაგროვებული. ჭინჭრის დედის ღერო ოთხშახნაგანია, დე-
რო შიქისილა ფოთლებით. ყვავილები მოაჯესებულია ფოთლების
ქირში ღეროს გარშემო. ყვავილის ჯამი ხუთ ფოთლიანია. გვირგვინი

თეთრის ჭერისაა და ორ ყბად ანუ ტუჩად გაიყოფება: ზემო ყბა ან
 ჯუჩი მუზარასა ჰგავს. მტერიანა ოთხი აქვს: ორი გრძელი და ორი
 ლოკლე. ბუჩქოვ ერაოა. ნასკეში ოთხი ზუღდა. ნასკვის ძირში თაფლის
 კაპოძები გირველა აქვს. ქინჭრის დედის ყვავილს მწერები ანაყო-
 ჟიერებენ. (სურ. 43).



სურ. 43. ქინჭრის დედა: 1) ღერო ფოთლებით, 2 (და 3) ყვავილი, 4) ყვავილის განყოფიერება მწერების შემწეობით, 5 და 6) ნაყოფი.

საბურავიანი ოჯახობა.

ამ ოჯახობას ეკუთვნის მუხა, წიფელი და წაბლი. ამ ოჯახობის ბერნარი მცენარეები, მეტადრე მუხა და წიფელი ხშირად იცის ჩვენი ქვეყნის ტყეებში. მათი თესლი ერთგვარი საბურავით, საბურავით არის დაფარული და ამიტომ ამ ოჯახობას საბურავიან ოჯახობას უწოდებენ.

მ უ ხ ა .

მუხა მსხვილი და მაღალი ტანის ხეა. მისი ტოტები თითქმის 40 აღლის სიმაღლეზეა ატყორცნილი და ამასთანავე შორს განზედ გასული. ამის გამო მუხამ კარგი ჩრდილი იცის. ფოთლები ფრთხილ



სურ. 1. მუხის ტოტი. 3. მამა-მკადა,
3 დედა-ყვავილები; 2. მამა ყვავილი.
3—4. დედა-ყვ ვილი. 5. ნაყოფი—რკო;
6. საბურავი ფოთოლი.

მაგვარი აქვს; სიფირფანა ჩაჭრილი და ნაკუწიანი. მუხა გაზაფხულზედ ჰყვავის. ყვავილები გაყოფილ-სქესოვანი; ცალკე მტვრიანა აქვს და

ქალკე ბუტკო. მტერიანების ჯგუფი ერთ წვრილ ღეროზედ არის მო-
ავესებული და სახელად შჰადა ეწოდება. მუხის ნაყოფი რკოა.

მუხას ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მუხის მერქანი ძა-
ლიან მაგარია და გამძლე. ამის გამო მუხას დიდი გასავალი აქვს, რო-
კორც ასაშენებელსა და სადღურგლო მასალას. მუხის ქერკი ტყავის
ქსაკეთებლად იხმარება. ნაყოფი კი ნოყიერი საკვებავია ღორებისათვის -
ღახლილი რკო ადამიანს ყავის მაგიერობას უწევს.

ერთლუზიანი მცენარენი.

მარცვლოვანი ანუ ხორბლოვანთა ოჯახობა.

ადმიანისათვის ეს ოჯახობა მეჩად მნიშვნელოვანია. ამ ოჯახობას ეკუთვნის: ქვაფი, პური, ქერი, შვრია, სიმინდი და აგრეთვე სხვა და სხვა ბალახი, რომელსაც ადამიანი შინაურ ცხოველებისათვის თევზად იყენებს. პური მოჰყავთ თითქმის ყველგან ზომიერ ჰავიან ქვეყნებში. იმის მარცვალს ჰქვავენ და ამზადებენ ფქვილს, ხოლო გალენწილს და დაფშენილ ღეროებს იყენებენ საქონლის საკვებ მასალად—ზუდს. პურს სთესენ უფრო შემოდგომაზედ (ანუელი), ნაკლებად—გაზაფხულზედ. პური მიწაში იკეთებს მრავალ ფესვებს; ერთი მარცვალიდან ხშირად სამი ან მეტი ღერო ამოდის. ამ მოვლენას პურას ბლართობას ეძახიან. ღერო მუხლიანი აქვს, სიმაღლით ადლნახევარი იზრდება. ფოთლები გრძელი და წვრილი ასხია. პურის ყვავილთ კრებულს თავთავი ჰქვიან. თითოეული თავთავი პატარ-პატარა თავთავისგან შესდგება; ყოველი პატარა თავთავი—სამ ან მეტ ყვავილისაგან.

პურის ყვავილი. პურის ყვავილი ფერადი არ არის, არ აქვს არც გვირგვინი და არც ჯამი. ამათ მაკვირობას ეწევა ქერქლი (чешуя). ქერქლი ორ გვარია—გარეთა და შიგნითა. გარეთა უფრო დიდა და ფხა აქვს. შიგნითა პატარაა და უფხოა. ყვავილის -ნაზი ნაწილები—ბუტკო და სამი მტვრანა ქერქლშია გახვეული. რადგანაც პურს არა აქვს ფერადი ყვავილი და, მაშასადაე, ვერც მწერს მიიზიდავს, ასიტომ განყოფიერება ყვავილის ქარას შემწეობით სწარმოებს. როცა პურა ყვავის, ქერქლი გადაიშლება, მტვრანება და ბუტკო გამოჩნდება. ქარი რომ დაუბერავს, ყვავილის მტვერს გადაიტანს ბუტკოს დინგზე და განყოფიერებს ყვავილს. ამის შემდეგ ორივე ქერქლი დაიხურება და მარცვალი დაიწყებს ზრდას (სურ. 44).



სურ. 44. პური.

სიმინდი. ყველა ხორბლოვან მცენარეებს, სიმინდს გარდა მტვრიანა და ბუტკო ერთს ყვავილში აქვთ. სიმინდს კი განცალკევებულ აქვს მტვრიანა და ბუტკო. ამ მცენარეს მტვრიანები ქეჩნში აქვს ღერო კენწეროში, ბუტკო კი ფოთლების ძირში. სიმინდი ერთ წლოვანი მცენარეა, გაზაფხულობით ითესება, კარგა მაღალი მცენარე იზრდება, ნამეტნავად სარწყავ ადგილებში, ღერო მუხლიანი აქვს, ფოთლები—გრძელი და განიერი. ღეროს თავზედ თეთრი ქეჩნო, ქუჩუჩო ახია. ფოთლის ძირში სიმინდი ტაროს იღებს, რომელზედაც მრავალ მარცვალი ასხია. სიმინდი ამერიკიდან არის გადმოტანილი. ხორბლოვან მცენარეთა შორის სიმინდს პურზედ ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ყოველნაირი ხორბალი საზოგადოდ ერთ ლებნიანი მცენარეებს ეკუთვნის. ხოლო ერთლებნიან მცენარეთა ჯგუფში, ხორბლის გარდა, შედის კიდევ მცენარეთა რამდენიმე ოჯახობა, მაგალითად, ზამბახის ნაირ მცენარეთა ოჯახობა: ტიტა, სუმბული, ზამბახი, შროშანა, სატა-ცური, ხახვი, სვინტრი და ღანძილი. ერთლებნიან მცენარეებს ეკუთვნის აგრეთვე ლელის ქილი, ინდის ხურმა და კოკოსის კაკალი.

შიშველთესლიანი მცენარენი.


წიწვიანი. წიწვიან მცენარეთა ოჯახობა განირჩევა თავის ფოთლებით—წიწვებით. ამ ოჯახობაში შედის შემდეგი მცენარეულობა: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, ღვია და სხვა.

ფიჭვი. ფიჭვი ქვიშაზედ იზრდება. ფიჭვას ტანი და ტოტები ფისით არის გაყენებული. კიდევ ეს არის მიზეზი, რომ მალე იწვის. ყოველ წლივ ფიჭვის ღეროსა და ტოტების წვეროებზედ ირგლივ ახალ-ახალი შტოები ამოდის. ასე რომ ფიჭვის შტოები სართულებივით აღიან მაღლა-მაღლა. ამ სართულებით შეიძლება ფიჭვის წლოვანების გაგება. რამდენიც სართულია, ხეც იმდენი წლისა იქნება. ქვემო შტოები ფიჭვს თან და თან უხმება და ემტვრევა, რის გამოც ტანი ფიჭვისა ყოველთვის სწორია და შიშველი, უხორკლო.

ფიჭვს ფოთლების მაგივრად წიწვები ასხია. წიწვები ყოველ წლივ არა სცივია ფიჭვსა ფოთლიან მცენარეთა ფოთლებივით. წიწვი ხეზედ ორი და მეტი წელიწადი რჩება. წიწვები ფიჭვს მხოლოდ შეუმჩნევ-

ლად, თან და თანობით სცვივა. ეს არის მიზეზი, რომ ფიჭვი მუდამ წვანე მცენარეა.

ყვავილი. ფიჭვს ცალ-ცალკე აქვს მამა-ყვავილი და დედა-ყვავილი. მამა-ყვავილები ჯგუფ-ჯგუფად არის შეგროვილი და მოთავსებულია ახალ-გაწრდა ყლორტის ძირში. მათი კრებული საყუჩებს მიემგზავნება და მკადა ჰქვია. დედათ ყვავილებიც ჯგუფ-ჯგუფადაა, მხოლოდ ყლორტის წვეროშია მოთავსებული და ეწოდება **კოკროქინა** (სურ. 45), მათ არა აქვთ ბუტკო, აქვთ მხოლოდ სათეს-



სურ. 45. ფიჭვი. 1) ტოტი მამალ ა) და დედალ ბ) ყვავილებით. 2) მკადა. 3) კოკროქინა დედალ-ყვავილებით. 4) ქერქი ორ სათესლე კვირტით.

ლე კვირტები, რომლებიც წყვილ-წყვილად მიკრულია ქერქლზედ. ქერქლები აყოლებულია დედათ ყვავილის-საერთო ფუჯზედ. სათესლე კვირტები არ არის დამალული ნასკვში ისე როგორც სხვა ყვავილიან მცენარეებში. იგი შიშველია. იმ მცენარეებს, რომლებსაც ასეთ ნაირათ ქვთ მოწყობილი სათესლე კვირტი, **შიშველ-თესლიან მცენარეს** უწოდებენ.

ფიქს მამა-ყვავილების კრებულში აუარებელი ყვითელი ფერის მტვერი უჩნდება. ამ მტვერს იტაცებს ქარი და გადააქვს სხვა და სხვა ადგილს. განაყოფიერების შემდეგ ქერქლი და თესლი იზრდება. სამი წლის შემდეგ თესლი შემოდის, მწიფდება. ქერქლი ყავის ფერს იღებს. სკდება და იქიდან სცვივა თესლი. ფიქვის თესლს პაწაწეინტელა ფრაფი ასხია. ქარი მათ ადვილად იღებს და ჰფანტავს. დეღამიწის ზურგზედ.

უყვავილო მცენარენი.


უყვავილო მცენარეს ის თვისება აქვს, რომ არ ყვავილობს და თესლი არ მოაქვს, თესლის მაგივრად ასეთს მცენარეს უჩნდება წვრილი, მტვრის მზგავსი, ნამცეცები, რომელთაც ზპორას უძახიან. სპორაც თესლივით ახალს მცენარეს აჩენს, ხოლო სპორა თესლთან შედარებით უფრო სადა შედგენილობისაა. სპორას ნახს— მომავალი ნაწილები მცენარისა არა აქვს.

უყვავილო მცენარეებში ყველაზედ უფრო გავრცელებულია: ჩაღუნა (გვიმრა), ჯორის ძუა, ხავსი, წყალთ მცენარე, სოკო და ბაქტერიები.

ჩაღუნა. ჩაღუნა ბლომად იზრდება ტყეებში, საზოგადოდ ნოტიო და ჩრდილიან ადგილებში. ჩაღუნა არასოდეს არ ჰყვავის, ხოლო ფოთლების ქვეშ მხრიდან ზაფხულში უჩნდება წაწლის ფერი ან შავი მექუქები. ეს მექუქები რომ მიკროსკოპში გავსინჯოთ, დავინახავთ— შიგ მთავსებულია რამდენიმე პატარა პარკი, რომელიც სპორებით არის სავსე. ამ პარკებს სახელად სპორანგიუმები ეწოდება. როდესაც სპორანგიუმები შემოდის, პარკები სკდება, სპორები სცვივა და ქარისაგან აქეთ-იქით იფანტება. (სურ. 16).

ჩაღუნას მიწაში გადგმული აქვს მოკლე და მსხვილი ღერო, რომ


მელსაც წვრილი ფესვები ასხია. ყოველ წლივ ღერო ამოჰხეთქავს ხოლ-
მე ახალ-ახალ მოგროძო ფრთის მზგავს ფოთლებს, ხოლო წინანდელი
მობერებული უხმება და ემტვრევა. მიწაზედ დაცემული სპორა ზატა-



სურ. 46. ჩაღუნა (გვიმრა) ა) სპორანგიები.

რა ხანს უკან ჰღვივდება და ჩნდება ვერცხლის შაურის ოდენა მწვანე
ფოთოლი—წინაზარდი. (სურ. 47.) წინაზარდი მიწაზედ ზიმაგრებუ-
ლია წვრილის ძაფებით, რომლებიც ფესვების მაგივრობას უწყვენ. წი-
ნაზარდს ორგვარი პარკები უჩნდება—მომცრო და მომსხო. მომცრო პარ-

კები ყვავილის მტვრიანას უღრის და ეწოდება **ანტერიდები**. მომსხო პარკები—ბუტკოს და **არხიგონიები** ჰქვიან. ანტერიდებში არის ერთ-გვარი მოძრავი უჯრედები. არხიგონიების ძირში სძევს საკვერცხე უჯრედი. ანტერიდის მოძრავი უჯრედი წარდება არხიგონიებში, უერთ-




სურ. 47. ჩაღუნას წინაზარდი.

დება საკვერცხე უჯრედს და ასე ვითარდება ახალგაზრდა ჩაღუნა. ჩაღუნას ზრდასთანვე წინაზარდი ჰქნება და იღვევა.

ჯორის ძუა პატარა ნაძვსა ჰგავს. მიწაში საღსრიანი ღერო აქვს, რომელსაც ფესვები და ბოლქვები ასხია. საღსრიანია აგრეთვე მიწის ზევით აცილებული ღერო. საღსრის ადგილებს ირგვლივ ასხია ფოთლები, რომლებიც უფრო საღსრიან ყლორტებს ჰგავს, ვიდრე ფოთლებს. ჯორის ძუამ ორგვარი ღერო იცის: ნაყოფიანი და უნაყოფო. ნაყოფიანი ღერო გაზაფხულობით ამოდის, კენწეროში იკეთებს პატარა თავთავს, რომელიც სპორანგიებისაგან შესდგება. ნაყოფიან ღეროს საღსრებში მოკლე, ერთმანეთთან შეხორცებული ფოთლები აქვს. (სურ. 48).

ხავსი. ხავსი ყველასათვის ცნობილი პატარა მცენარეა, სუყველგან იზრდება, სადაც კი სინესტე მოიპოვება: ტყეებში, მინდორში, კლდეებზედ, ქვებზედ და ხეებზედ, მეტადრე კი ჰაობებში. ამ მცენარის უმეტესობას პატარა ღეროები და ფოთლები აქვს. ძირი და

ფესვები არა აქვთ. ამათ მაგიერობას უწევს ღეროს ქვემო ნაწილზედ გამოსული ბუსუსები. ხავსს ღეროს წვეროზედ უჩნდება სპორებით ვა-




სურ. 48. ჯორის ძუა. ა) ნაყოფიანი ღერო, ბ) უნაყოფო ღერო.

სილი პატარა პარკები, პარკები რომ შემოვა, სკდება და ზქიდან მიწაზედ სცივია სპორები. ასე ჩნდება ახალი ხავსი. (სურ. 49).

სოკოები. სოკოები სხვა მცენარეებით მწვანე ფერისანი არ არიან, რადგან ქლოროფილი არა აქვთ. სოკოები გარეგნობითაც ძალიან განსხვავდებიან დანარჩენ მცენარეთაგან. ქლოროფილის საშუალებით, როგორც ვიცით, მცენარეები ორგანიულ ნივთიერებას აშაბდებენ. სოკოები კი, როგორც უქლოროფილო მცენარეები, რასაკვირველია, ასეთს ნივთიერებას ვერ მოამზადებენ. ამიტომ სოკოები ცხოველებივით მზა-მზარეული ორგანიულ ნივთიერებით იკვებებიან, ამ შემთხვევაში სოკოებს ასეთი ნივთიერებანი იმ დამპალ, თუ ხალი მცენარეებიდან ან ცხოველებიდან ამოაქვს, რომლებზედაც დამკვიდრე-

ბულან. იმ სოკოებს, რომელნიც დამპალ გახრწნილ მცენარეებზედ და ცხოველებზედ ან და სხვა და სხვა ორგანიულ ნივთიერებაზედ სცხოვ-




სურ. 49. ხავსი. 1. ხავსის უპარკო ლერო, 2, 2. ხავსის პარკიანი ლერო.

რობენ, **ქაფროფიტები** ჰქვიან. ხოლო იმ სოკოებს, რომელნიც ცოცხალ არსებაზედ, უფრო ხშირად მცენარეებზედ სცხოვრობენ, **მუქთხორა** სოკოებს ეძახიან. სიტყვა მუქთახორა შეეფერება საზოგადო ყველა იმ ცოცხალ არსებას, მცენარეს თუ ცხოველს, რომელიც სხ რომელსამე ცოცხალ არსებაზედ სცხოვრობს და იქიდან იღეს საკვებს.

სოკოებს არა აქვთ არც ლერო, არც ძირი და არც ფოთოლ ყველასათვის ცნობილს ჭამა და შხამა სოკოს აქვს ფეხი და თავი; ამ გარდა სოკოს აქვს მიწაში ჩამალული ნაწილი—**სოკოს ბუდე—მიცლი**. (სურ. 50). ეს ბუდე მრავალ ერთმანეთში გადახლართულ ძაფ ბისგან შესდგება. ჭამა და შხამა სოკოს თავი შესდგება თხელი ფიტებისგან; ამ ფირფიტებზედ სხედან სპორები. ზოგიერთ სოკოე ფირფიტები არა აქვთ, ფირფიტების მაგივრად აქვთ მრავალი მილი; ამ მილებში სპორები სხედს.


თავიან სოკოს გარდა არის კიდევ სხვა აუარებელი სოკო, რომელთაც არც ფეხი აქვთ და არც თავი. ეს სოკოები მრავალ გადახლართული სოკოს ძაფებისაგან შესდგებიან. ეს სოკოები



სურ. 50. ქაბა სოკო. მიწაში მოსხანს მიცელი.

დაბალ სოკოების გვეფუს ეკუთვნის, ისეთი სოკოებია **ობი**, რომელიც ჩნდება გამომცხვარ პურზედ, დამპალ ხილზედ. მურაბაზედ და სხვა.

პურის ობი. გამომცხვარ პურს ხშირად უჩნდება მოლურჯო ფერის ობი, ეს ობი რომ გამადიდებელ შუშით გავსინჯოთ, შევამჩნევთ, რომ იგი მრავალ წვრილ სოკოს ძაფებისაგან შესდგება, ზოგ ალაგას წვრილ ძაფებ შორის მიცელიდან ამართულია მომსხო ძაფები, რომელზედაც ასხია წვრილი თავები. აუარებელი სპორა ჩნდება ამ თავებში და როცა სპორები შემოდის, თავები სკდება, სპორა პურში იფანტება და შესაფერ გარემოებაში ახალს ობს აჩენს. (სურ. 51).




სურ. 45. პურის ობი.

ღენისა და ლუდის დუღილიც სოკოებისაგან არის გამოწვეული დუღილის ჯიშის სოკოები შექარს სპირტადა და ნახშირ-ჰეჰეფე გაზად გარდაჰქმნიან სოლმე.

ბევრია აკრთვე მუქთა-ხორა სოკო. ასეთი სოკოები მცენარეებზედ მკვიდრდებიან და ბევრნაირს ავადმყოფობას უჩენენ და ხშირად აზიანებენ ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვან მცენარეებს: პურს, სიმინდს და ვაზს; ვაზის ცნობილს ავადმყოფობას--მილდიუსა და ნაცარს--მუქთახორა სოკოები აჩენენ.

ბაქტერიები. სხვა და სხვა გადამდები სენი: სახადი, ხოლგრა. შავი ქირი, ხუნავი და სხვა ჩნდება თვალისათვის უჩინარ სოკოებისგან, რომლებსაც სახელად ბაქტერიები ეწოდება. ბაქტერიებს გარეგანი მოყვანილობა სხვა და სხვა ნაირი აქვთ. ზოგი მრგვალია, ზოგი ხვეულივით არის და ზოგი ჯოხვივით. ბაქტერიებს მარტო ზარალი კი არა, საარგებლობაც ბევრი მოაქვთ, მკვდარ ცხოველისა და მცენარის გახრწნა და ღობა ბაქტერიების საქმეა; უიმათოდ მთელი ქვეყანა ავსილი იქნებოდა გაუხრწნელ ცხოველებისა და მცენარეების ნეშტითა. (სურ. 52).



სურ. 52. ბაქტერიები.

წყალ-მცენარენი. (იამი) წყალ-მცენარენი ბუნებაში ძალიან გავრცელებულია. ასეთი მცენარეები იზრდებიან ნესტიან და სველ ადგილას, გუბიასა და მდინარეში და უფრო მეტი ზღვასა და ოკეანეში. ამ მცენარეებს სოკოებისათვის არა აქვთ არც ფესვი, არც ღერო და არც ფოთლები ხოლო სოკოებისაგან განირჩევიან მწვანე ფერით ე. ი. აქვს სხეულში ქლოროფილი და ამის გამო ამ მცენარეებს შეუძლიანთ მომზადება

არგანიულ ნივთებისა და თავისით საზრდოობა. წყალთ-მცენარეებს ბუნულის მოყვანილობა სხვა და სხვა ნაირი აქვთ: ზოგი ძაფივით ვრილია, ზოგი თასმასავით პრტყელი. ზოგი მცენარე იმდენათ დიდა, რომ სიგრძით ორას აღლამდეა, ზოგი კიდევ ისე პატარაა, რომ მხოლოდ ერთი ან ორი უჯრედისაგან შედგება და მარტო გამადიდებელ შუშით შევამჩნევთ.

მდინარეების ძირში მომეტებულ ნაწილად ძაღის მზგავს მწვანე წყალთ-მცენარეს ვხვდებით, ხალხი შეცდომით ხავს ეძახის. ნამდვილად კი წყალთ-მცენარეა. ზღვასა და ოკეანეში უთვალავია როგორც დიდი, ისე პატარა წყალთ-მცენარე. წყალთ-მცენარეებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ზღვის ცხოველებისათვის. ამ მცენარეებით იკვებებიან ცხოველები. ამას გარდა მცენარეები ზღვის ჰაერს სწმენდავენ ე. ი. ნახშირ-მჟავა გაზს ჰყლაპავენ და სმაგიეროდ წყალში მჟაბადს უშვებენ. ზოგიერთი წყალთ-მცენარე ადამიანისათვისაც სასარგებლოა, მაგალითად, ბუშტიანი წყალთ-მცენარის ნაცრიდან იოდს ამზადებენ. ამას გარდა წყალთ-მცენარეებს (ზღვის ბალახს) ჰხმარობენ ლეიბების გასატენად და სხვა და სხვა ნივთებისა და ავეჯის გასახვევ-ჩასაწყობად.

ზოგიერთი სიტყვების განმარტება.

1. ლებანი—сѣмядоля.
2. ნასახი—зародышъ.
3. წიწვიანი მცენარე—хвойное дерево.
4. ფუნჯის (ფოჩის) მსგავსი ძირი—мочковатый корень.
5. ფარი—чехликъ.
6. ძირის მაგვარი ღერო—корневище.
7. სიფრიფანა—пластинка.
8. ყუნწი—черешокъ.
9. ნაჩერეტი ანუ სასუნთქავი ბაგე—устье.
10. ორლებნიანი და ერთლებნიანი მცენარეები=двудольныя и одольныя растенія.
11. ჯამი—чашечка.
12. გვირგვინი—вѣнчикъ.
13. ბუტკო—пестикъ.
14. დინგი—рыльце.
15. მტერიანა—тычинка.
16. ნასკვი—завязь.
17. სათესლე კვირტები—семяпочки.
18. აღმავალი წვენი—восходящій сокъ.
19. ჩამავალი წვენი—нисходящій сокъ.
20. წინაზარდი—предростокъ.
21. კოკროქინა—шишка.
22. წყალთ-მცენარე (იამი)=водоросль.